

ვინდიკაციისა და კონდიქციის კონკურენცია ქართული სამართლის
მიხედვით

ნინო გეგუჩაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გეგუჩაძე

28.06.2019

აბსტრაქტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის, ვინდიკაციის და კონდიქციის კონკურენციის საკითხი, როგორც საქართველოს, ასევე, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და არ არის სრულად გადაჭრილი. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს ვინდიკაციური მოთხოვნის, კონდიქციურ მოთხოვნასთან კონკურენციის საკითხის მიმოხილვა. ვინაიდან, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ქართულ კანონმდებლობაში, შესრულების კონდიქცია, როგორც მოთხოვნის უფლების ინსტიტუტი საჭიროებს სათანადო განხილვას და ანალიზს, განსაკუთრებით ვინდიკაციურ მოთხოვნასთან მიმართებაში, რადგან ქართულ სამართლებრივ სივრცეში ხშირად ხდება მათი გადაკვეთა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

თემა შედგება შვიდი თავისგან და ქვეთავებისგან, სადაც განხილულია, როგორც ვინდიკაციის, ასევე შესრულების კონდიქციის არსი, მოთხოვნის წინაპირობები და შედეგების უკანდაბრუნების (უკუგების) ფარგლები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორ ინსტიტუს შორის საერთო ბევრია, მრავლადაა მათ შორის განსხვავებებიც, რომლებიც კარგად ჩანს შედეგების ნაწილში. სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ გაბატონებულ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც, ვინდიკაციურ და კონდიქციურ მოთხოვნებს შორის კონკურენციის დროს, ნებისმიერ შემთხვევაში ვინდიკაცია განისაზღვრება უპირატეს მოთხოვნად, რაც არ უნდა იყოს უალტერნატივო, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის და შესრულების კონდიქციის ფუნქცია გაუფასურდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უსაფუძვლო გამდიდრება, ვინდიკაცია, კონდიქცია, შესრულების კონდიქცია, კონკურენცია.

abstract

The competition issue of two important institutions, vindication and conduction, settled by Georgian civil code, still remains one of the main problems and isn't solved both in Georgian and other country's legislation. Main topic of present Master's work is the issue of competition between vindication and conduction requirements. As an unjust enrichment law takes important role in Georgian legislation, conduction of fulfillment, as an institution with right of requirement, needs to be well discussed and analyzed, especially in connection with vindication requirement, because in Georgian legislative field they are often connected on the different stages of proceeding.

Theme contains 7 chapters and sub-chapters, where meaning of both vindication and conduction of fulfillment, requirement prerequisites and framework of consequence return is discussed. Although above said two institutions have much in common, there are many differences as well, which is well described in the part of consequences. Dominating opinion in Georgian legal literature is discussed. In the master's work, according to that in times of competition between vindication and conduction requirements, vindication is discussed as main requirement, that shouldn't have alternative, because in such case function of unjust enrichment and conduction of fulfillment will be devaluated.

Key words: unjust enrichment, vindication, conduction, conduction of fulfillment, competition.